ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის

სხდომის ოქმი N10

სხდომის ჩატარების თარიღი და დრო: 2026 წლის 20 ივლისი,12:00 საათი
სხდომის ჩატარების ადგილი: ადგილობრივი თვითმმართველობის
შენობა, მეორე სართულზე არსებული
სხდომათა დარბაზი
ქალაქი ქუთაისი, შოთა რუსთაველის გამზ. N3

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომას უძღვებოდა: საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ბესიკ ჩეჩელაშვილი.

ესწრებოდნენ :

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის შემადგენლობა: კომისიის თავმჯდომარე **ბესიკ ჩეჩელაშვილი.**

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის წევრები: გიორგი ჭიღვარია, ამირან კოპალეიშვილი, მარეხი ნიჟარაძე, ალექსანდრე თამაზაშვილი, იოსებ კუჭავა.

სულ : 11 წევრიდან-6 წევრი.

არ ესწრებოდა: სანდრო ნერგაძე, აკაკი გიორგაძე, მანანა ჩიხლაძე, ალექსანდრე მიქაუტაძე, ელეონორა არჩაია.

სულ: 5 წევრი

სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქალაქ ქუთაისის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ცენტრის“ დირექტორი იოსებ ჩიჯავაძე.

სხდომა გახსნა საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა ბესიკ ჩეჩელაშვილმა. მან აღნიშნა: მოგესალმებით, დღეს ჩვენ ვატარებთ საფინასო-საბიუჯეტო სხდომას. დღის წესრიგი და მასალები კომისიის წევრებთან წინასწარ გადმოიგზავნა.

საფინანსო–საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა ბესიკ ჩეჩელაშვილმა წარმოადგინა სხდომის დღის წესრიგის შემდეგი პროექტი:

ღია კენჭისყრით, ერთხმად დ ა ა დ გ ი ნ ე ს :

დამტკიცდეს სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი რედაქციით.

1. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქალაქ ქუთაისის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ცენტრის“ მიერ 2025 წლის განმავლობაში და 2026 წლის მეორე კვარტალის ჩათვლით გაწეული საქმიანობის შესახებ.

ბატონი იოსებ ჩიჯავაძე
არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის
„ქალაქ ქუთაისის საზოგადოებრივი
ჯანმრთელობის დაცვის ცენტრის“ დირექტორი

2. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის ანგარიში 2025 წლის ნოემბრიდან 2026 წლის ივლისამდე გაწეული მუშაობის შესახებ.

ბატონი ბესიკ ჩეჩელაშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ ბ. ჩეჩელაშვილმა:

დღეს ვატარებთ მორიგ სხდომას, დღის წესრიგის თანახმად, პირველი საკითხი არის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქალაქ ქუთაისის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ცენტრის“ მიერ 2025 წლის განმავლობაში და 2026 წლის მეორე კვარტალის ჩათვლით გაწეული საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მოსმენა.

დეტალური ინფორმაციისთვის სიტყვას გადავცემ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქალაქ ქუთაისის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ცენტრის“ დირექტორს იოსებ ჩიჯავაძეს.

მოისმინეს: ქუთაისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქალაქ ქუთაისის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ცენტრის“ დირექტორის, იოსებ ჩიჯავაძის, მოხსენება: „ჩვენი ცენტრი ფინანსდება როგორც სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი ტრანსფერით, სახელმწიფო მხრიდან დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად, ასევე ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტიდან, ადგილობრივი ჯანდაცვის პროგრამების დასაფინანსებლად. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა,

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პროგრამების განხორციელებისთვის ცენტრში დასაქმებულნი არიან შესაბამისი პასუხისმგებელი პირები (სპეციალისტები), რომელთა შრომის ანაზღაურება ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი დაფინანსებით. იმ შემთხვევაში, თუ ქალაქისთვის საჭირო ხდება დამატებითი პროგრამების ან მომსახურებების განხორციელება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის მიმართულებით, შესაბამისი დაფინანსება გამოიყოფა ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტიდან. მაგალითად, B ჰეპატიტის პროგრამა ჩვენი ცენტრის მიერ საპილოტე რეჟიმში განხორციელდა. აღნიშნული პროგრამის განსახორციელებლად დასაქმებული გვყავდა ორი თანამშრომელი, რომელთა შრომის ანაზღაურება ფინანსდებოდა ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ გამოყოფილი სახსრებით.

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს

კომისიის წევრი გ. ჭიღვარია : დასრულდა აღნიშნული პროგრამა?

ა(ა)იპ „ქალაქ ქუთაისის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ცენტრის“ დირექტორი ი. ჩიჯავაძე: ამ პროგრამის განხორციელება სახელმწიფომ დაიწყო, აქედან გამომდინარე ჩვენი მხრიდან აღარ გაგრძელდა.

კომისიის თავმჯდომარე ბ. ჩეჩელაშვილი: რა სხვაობა არის თქვენ ბიუჯეტსა და აუთვისებელ თანხებს შორის, რა არის თქვენი სახელფასო განაკვეთი?

ა(ა)იპ „ქალაქ ქუთაისის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ცენტრის“ დირექტორი ი. ჩიჯავაძე: 2025 წელს ცენტრის დამტკიცებული ბიუჯეტი შეადგენდა 417,0 ათას ლარს, საიდანაც ათვისებულია 408,63 ათასი ლარი, რაც საერთო ასიგნებების 97%-ს შეადგენს. შრომის ანაზღაურების მუხლით გეგმა შეადგენდა 368,50 ათას ლარს, ხოლო ფაქტობრივად ათვისებულია 364,25 ათასი ლარი. საქონლისა და მომსახურების მუხლით გეგმა განსაზღვრული იყო 46,60 ათასი ლარით, ხოლო ფაქტობრივმა შესრულებამ შეადგინა 42,53 ათასი ლარი. არაფინანსური აქტივების მუხლით გეგმა შეადგენდა 1,90 ათას ლარს, საიდანაც ათვისებულია 1,85 ათასი ლარი, რაც აღნიშნული მუხლის ასიგნების 97,11%-ს შეადგენს. 2025 - 2026 წლებში, საშტატო ნუსხის მიხედვით, ცენტრში 19 თანამშრომელია დასაქმებული. 2025 წელს არაფინანსური აქტივების მუხლით შეძენილ იქნა კომპიუტერი. ამავე წელს, საქონლისა და მომსახურების მუხლით დაფინანსდა ცენტრის სამუშაო ოთახების კოსმეტიკური რემონტი, ასევე გაწეულ იქნა ხარჯები ავტომობილების ექსპლუატაციისა და საწვავის შეძენისთვის.

კომისიის თავმჯდომარე ბ. ჩეჩელაშვილი: საწვავის რა დანახარჯი გაქვთ?

ა(ა)იპ „ქალაქ ქუთაისის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ცენტრის“ დირექტორი ი. ჩიჯავაძე: ცენტრის თანამშრომლები ქალაქის მასშტაბით ახორციელებენ

სხვადასხვა ობიექტის, მათ შორის, სილამაზის სალონებისა და სხვა დაწესებულებების შემოწმებას. აღნიშნული საქმიანობის შესრულება დაკავშირებულია მუდმივ გადაადგილებასთან, რის გამოც ცენტრის კუთვნილი ავტომობილები ყოველდღიურად გამოიყენება. შესაბამისად, საწვავის ხარჯი ძირითადად სწორედ ამ სამსახურებრივი გადაადგილებების უზრუნველსაყოფად იხარჯება.

კომისიის წევრი გ. ჭიღვარია: სალონების შემოწმების დროს ჯარიმები იწერება?

ა(ა)იპ „ქალაქ ქუთაისის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ცენტრის" დირექტორი ი. ჩიჯავაძე: ჩვენ ვადგენთ შემოწმების აქტს. საჭიროების შემთხვევაში, მას სასამართლოს წარვუდგენთ, ხოლო სანქციის დაკისრების საკითხს სასამართლო წყვეტს. ყოფილა შემთხვევები, როდესაც სასამართლოს დამრღვევი დაუჯარიმებია, ასევე ყოფილა შემთხვევები, როდესაც მხოლოდ გაფრთხილება გამოუყენებია.

კომისიის წევრი გ. ჭიღვარია: ობიექტის გახსნის ნებართვას თქვენ გასცემთ?

ა(ა)იპ „ქალაქ ქუთაისის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ცენტრის" დირექტორი ი. ჩიჯავაძე: ჩვენ ვამოწმებთ დოკუმენტაციას. როგორც მომსახურების გამწევს, ისე შემსრულებელს შესაბამისი დოკუმენტაცია წესრიგში უნდა ჰქონდეს. რაც შეეხება ობიექტის გახსნის ნებართვას, მას სახელმწიფო გასცემს. ამასთან, ობიექტის დახურვის შემთხვევაში ჩვენთან შეტყობინება არ იგზავნება.

კომისიის წევრი ი. კუჭავა: სერტიფიკატს ვინ გასცემს? მაგალითად, სასურსათო მაღაზიის გახსნისას ობიექტმა მრავალი კრიტერიუმი უნდა დააკმაყოფილოს — მაგიდების სიმაღლიდან დაწყებული, HACCP-ის სერტიფიკატით დამთავრებული. ყველა ამ მოთხოვნას სურსათის ეროვნული სააგენტო ამოწმებს.

ა(ა)იპ „ქალაქ ქუთაისის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ცენტრის" დირექტორი ი. ჩიჯავაძე: სწორედ აღნიშნული კრიტერიუმების მიხედვით ტარდება შემოწმება. ხშირად გვხვდება შემთხვევები, როდესაც სალონში დასაქმებულ პერსონალს შესაბამისი სერტიფიკატი არ აქვს. ასეთ შემთხვევაში, პირველ ეტაპზე, როგორც წესი, გაფრთხილებით შემოვიფარგლებით.

კომისიის წევრი გ. ჭიღვარია: აღნიშნულ საკითხზე დამატებით ვიმსჯელოთ საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომაზე.

კომისიის წევრი ა. კოპალეიშვილი: როგორია ობიექტების წარმომადგენელთა დამოკიდებულება, როდესაც შემოწმებისთვის შედიხართ, რას ამოწმებთ ძირითადად?

ა(ა)იპ „ქალაქ ქუთაისის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ცენტრის“ დირექტორი ი. ჩიჯავაძე: თავდაპირველად გარკვეული აგრესია და წინააღმდეგობა იყო, თუმცა დროთა განმავლობაში შეეჩვივნენ. ძირითადად ვამოწმებთ პერსონალის სერტიფიცირების საკითხს, ასევე იმას, რამდენად არის დაცული ჰიგიენური ნორმები.

კომისიის თავმჯდომარე ბ. ჩეჩელაშვილი: 30 ათასი ლარით არის მომატებული თქვენი ბიუჯეტი წინა წელთან შედარებით რამ გამოწვია აღნიშნული?

ა(ა)იპ „ქალაქ ქუთაისის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ცენტრის“ დირექტორი ი. ჩიჯავაძე: სახელფასო ფონდის 10% გაზრდამ და ახალი მედიკამენტის ჩამატებამ, აგრეთვე სახელმწიფო პროგრამითი ივნისი, ივლისი თვის ჩათვლით შეწამლები განხორციელებისთვის თანხა დაგვემატა.

კომისიის თავმჯდომარე ბ. ჩეჩელაშვილი: რაიმე კრიტიკული შენიშვნა თუ გაქვთ?

ა(ა)იპ „ქალაქ ქუთაისის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ცენტრის“ დირექტორი ი. ჩიჯავაძე: დიახ, ფართი არ გვყოფნის, რის გამოც ლაბორატორია ვერ ფუნქციონირებს. თუმცა, იგეგმება ახალ ფართში გადასვლა და ამ ეტაპზე შესაბამისი დეტალები ზუსტდება.

კომისიის თავმჯდომარე ბ. ჩეჩელაშვილი: სეზონურ დაავადებებთან დაკავშირებით რა ვითარებაა?

ა(ა)იპ „ქალაქ ქუთაისის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ცენტრის“ დირექტორი ი. ჩიჯავაძე: ჩვენი სამსახურის სპეციფიკიდან გამომდინარე, სეზონურ დაავადებებთან დაკავშირებით რეაგირება ყოველწლიურად ხორციელდება. მუდმივად მიმდინარეობს ინფორმაციის შეგროვება ინფექციის შესაძლო კერებისა და გავრცელების წყაროების შესახებ. მიღებული ინფორმაციის საფუძველზე ჩვენი თანამშრომლები ადგილზე გადიან, სწავლობენ არსებულ მდგომარეობას და საჭიროების შემთხვევაში შესაბამის ღონისძიებებს ატარებენ.

კომისიის წევრი მ. ნიჟარაძე: კოვიდპანდემიის პერიოდში თქვენს სამსახურს ტრანსპორტირების კუთხით გარკვეული პრობლემები ჰქონდა. ამჟამად რა მდგომარეობაა? ასევე, თანამშრომელთა რაოდენობა რამდენად საკმარისია?

ა(ა)იპ „ქალაქ ქუთაისის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ცენტრის“ დირექტორი ი. ჩიჯავაძე: აღნიშნული საკითხი წარმოდგენილი იყო ხელმძღვანელობის წინაშე და ამჟამად პრობლემა მოგვარებულია. რაც შეეხება თანამშრომელთა რაოდენობას, იმ პროგრამების განსახორციელებლად, რომლებსაც ცენტრი ახორციელებს, არსებული ადამიანური რესურსი საკმარისია.

კომისიის წევრი მ. ნიჟარაძე: ვაქცინაცია როგორ ხდება?

ა(ა)იპ „ქალაქ ქუთაისის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ცენტრის“ დირექტორი ი. ჩიჯავაძე: ვაქცინებს დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი გვაწვდის, რის შემდეგაც მათი მიღება და განაწილება ჩვენი სამსახურის მიერ ხდება. აუცილებელია, ვაქცინების მარაგი მუდმივად გვქონდეს. იმ შემთხვევაში, თუ მარაგი იწურება ან არასაკმარისია, ამის შესახებ დაუყოვნებლივ ვაცნობებთ მომწოდებელს და ვითხოვთ დამატებით მოწოდებას.

კომისიის თავმჯდომარე ბ. ჩეჩელაშვილი: კომუნალურ ხარჯებთან დაკავშირებით რა ვითარებაა?

ა(ა)იპ „ქალაქ ქუთაისის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ცენტრის“ დირექტორი ი. ჩიჯავაძე: ჩვენი ცენტრი სოციალური საკითხების სამსახურის შენობაშია განთავსებული, რის გამოც ერთიან კომუნალურ ქსელში ვართ ჩართული. შესაბამისად, ელექტროენერგიის, ბუნებრივი აირისა და წყლის კომუნალური გადასახადების გადახდა ცალკე არ გვიწევს. ასევე, ცალკე აბონენტად რეგისტრაცია მნიშვნელოვან ფინანსურ ხარჯებთან არის დაკავშირებული, რაც ამ ეტაპზე აუცილებლობას არ წარმოადგენს.

საფინანსო–საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა ბესიკ ჩეჩელაშვილმა აღნიშნა:

თუ დამატებითი შეკითხვები არ არის, გადავიდეთ კენჭისყრაზე. კენჭი ვუყაროთ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქალაქ ქუთაისის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ცენტრის“ მიერ 2025 წლის განმავლობაში და 2026 წლის მეორე კვარტალის ჩათვლით გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშის ცნობად მიღების საკითხს.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე — 06

მოწინააღმდეგე — 0

თავი შეიკავა — 0

დადგინდა: არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქალაქ ქუთაისის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ცენტრის“ მიერ 2025 წლის

განმავლობაში და 2026 წლის მეორე კვარტალის ჩათვლით გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში ცნობად იქნა მიღებული.

დღის წესრიგით გათვალისწინებული მეორე საკითხია ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის ანგარიშის განხილვა 2025 წლის ნოემბრიდან 2026 წლის ივლისამდე გაწეული მუშაობის შესახებ.

მოისმინეს: ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის ბესიკ ჩეჩელაშვილის მოხსენება: მოგესალმებით, დღეს წარმოგიდგენთ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის ანგარიშს 2025 წლის ნოემბრიდან 2026 წლის ივლისამდე გაწეული მუშაობის შესახებ.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისია საქმიანობას ახორციელებს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის, საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის დებულებისა და სხვა მოქმედი სამართლებრივი აქტების შესაბამისად.

საფინანსო-საბიუჯეტო კომისია წარმოადგენს საკრებულოს ერთ-ერთ მუდმივმოქმედ ორგანოს, რომელიც თავისი კომპეტენციის ფარგლებში განიხილავს საბიუჯეტო, საფინანსო და ეკონომიკური პოლიტიკის საკითხებს, ამზადებს დასკვნებს, რეკომენდაციებსა და წინადადებებს, უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შესრულების მონიტორინგს და აქტიურად მონაწილეობს ადგილობრივი თვითმმართველობის ფინანსური პოლიტიკის განხორციელების პროცესში.

კომისია შედგება 11 წევრისაგან.

საანგარიშო პერიოდში კომისია აქტიურად იყო ჩართული ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვისა და ფორმირების პროცესში. ბიუჯეტის პარამეტრების შემუშავების ეტაპზე კომისიის წევრები აქტიურად მონაწილეობდნენ სამუშაო შეხვედრებში მუნიციპალიტეტის შესაბამის სამსახურებთან, სადაც განიხილებოდა ბიუჯეტის პრიორიტეტები, პროგრამები და ფინანსური რესურსების განაწილების საკითხები.

მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის პროექტის მეორე (საბოლოო) ვარიანტში აისახა კომისიის მიერ 2025 წლის 24 ნოემბრის სხდომაზე ბიუჯეტის პროექტის პირველ ვარიანტთან დაკავშირებით წარმოდგენილი შენიშვნები და რეკომენდაციები. აღნიშნული რეკომენდაციების გათვალისწინების შემდეგ კომისიამ 2025 წლის 19 დეკემბრის სხდომაზე ბიუჯეტის პროექტს დადებითი რეკომენდაცია მისცა და მოამზადა შესაბამისი დასკვნა.

კომისიის საქმიანობის ეფექტიანად წარმართვის მიზნით, 2026 წლის 26 იანვრის სხდომაზე დამტკიცდა კომისიის სამუშაო გეგმა, რომლითაც განისაზღვრა კომისიის

საქმიანობის ძირითადი მიმართულებები და წლის განმავლობაში განსახორციელებელი ღონისძიებები. სამუშაო გეგმის შესაბამისად, კომისიის სხდომებზე პერიოდულად განიხილებოდა ანგარიშვალდებული ორგანოებისა და თანამდებობის პირების საქმიანობის შედეგები, ფინანსური მაჩვენებლები, მიმდინარე გამოწვევები და სამომავლო გეგმები. წინასწარ შეთანხმებული გრაფიკის შესაბამისად, ანგარიშვალდებული სამსახურები და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ორგანიზაციები კომისიას წარუდგენდნენ ანგარიშებს გაწეული საქმიანობის შესახებ.

საანგარიშო პერიოდში საფინანსო-საბიუჯეტო კომისიამ ჩაატარა 9 (ცხრა) სხდომა, რომლებზეც განხილულ იქნა 20 (ოცი) საკითხი.

კომისიის ყველა სხდომა ჩატარდა საჯაროდ. არც ერთი სხდომა არ გადადებულა და არ ჩაშლილა. თითოეულ სხდომაზე მოწვეული იყვნენ მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს, შესაბამისი სამსახურების წარმომადგენლები, რამაც უზრუნველყო საკითხების სრულყოფილად განხილვა.

საანგარიშო პერიოდში კომისიამ განიხილა შემდეგი ძირითადი საკითხები:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის პროექტი, რომელთან დაკავშირებით მომზადდა შესაბამისი წინადადებები, რეკომენდაციები და დასკვნა, რომლებიც რეაგირებისთვის გადაეგზავნა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიას;

შეფასდა მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის შესრულების შედეგები და მომზადდა შესაბამისი რეკომენდაციები;

განხილულ იქნა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შესატანი ცვლილებები. კერძოდ, 2025 წლის ბიუჯეტში განხორციელდა ერთი (მეოთხე) ცვლილება, ხოლო 2026 წლის ბიუჯეტში — სამი ცვლილება. ყველა შემთხვევაში კომისიამ მოამზადა დადებითი დასკვნა, რომელიც წარედგინა საკრებულოს;

მოსმენილ იქნა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის შემდეგი სტრუქტურული ერთეულებისა და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ორგანიზაციების ანგარიშები.

ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახური;

სოციალურ საკითხთა სამსახური;

საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახური;

მუნიციპალური და საბინაო ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახური;

შიდა აუდიტის სამსახური;

ა(ა)იპ „ქუთაისის ბაგა-ბაღების გაერთიანები“;

ა(ა)იპ „ქალაქ ქუთაისის მადლიერების სახლი“;

ა(ა)იპ „სპეციალური სერვისები“;

ა(ა)იპ „ქუთაისის მუნიციპალური ინსპექციი“;

ა(ა)იპ „ქუთგანათების სერვისი“;

ა(ა)იპ „ქუთაისის ფოლკლორის ცენტრი“.

კომისიამ საქმიანობის ფარგლებში განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შესრულების მონიტორინგს, საბიუჯეტო სახსრების მიზნობრივი და ეფექტიანი გამოყენების შეფასებას, ანგარიშვალდებული სამსახურებისა და ორგანიზაციების საქმიანობის ანალიზს და ფინანსური მართვის ხარისხის გაუმჯობესების ხელშეწყობას.

საანგარიშო პერიოდში კომისია საქმიანობას წარმართავდა საჯაროობის, გამჭვირვალობის, ანგარიშვალდებულებისა და კოლეგიალურობის პრინციპების დაცვით. სხდომებზე უზრუნველყოფილი იყო საკითხების ამომწურავი განხილვა.

შემდგომ საანგარიშო პერიოდში საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის საქმიანობის ძირითად პრიორიტეტებს წარმოადგენს მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის შესრულების სისტემური მონიტორინგი, საბიუჯეტო სახსრების ეფექტიანი და მიზნობრივი გამოყენების ხელშეწყობა, კომისიის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე დასკვნებისა და რეკომენდაციების მომზადება, სამართლებრივი აქტების პროექტების განხილვა და ინიცირება, ანგარიშვალდებული სამსახურებისა და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ორგანიზაციების საქმიანობის შეფასება, პრობლემური საკითხების ანალიზი და მათი გადაჭრის მიზნით შესაბამისი წინადადებების შემუშავება.

საფინანსო-საბიუჯეტო კომისია მომავალშიც გააგრძელებს საქმიანობას მუნიციპალიტეტის ფინანსური მართვის ეფექტიანობის ამაღლების, საბიუჯეტო პროცესის გამჭვირვალობის, ფინანსური დისციპლინის განმტკიცებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ფინანსური რესურსების რაციონალური, მიზნობრივი და ეფექტიანი გამოყენების ხელშეწყობის მიზნით.

საფინანსო–საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა ბესიკ ჩეჩელაშვილმა აღნიშნა:

თუ დამატებითი შეკითხვები არ არის, გადავიდეთ კენჭისყრაზე. კენჭი ვუყაროთ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის

ანგარიში 2025 წლის ნოემბრიდან 2026 წლის ივლისამდე გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის ცნობად მიღების საკითხს.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე — 06
მოწინააღმდეგე — 0
თავი შეიკავა — 0

დადგინდა: ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის ანგარიში 2025 წლის ნოემბრიდან 2026 წლის ივლისამდე გაწეული მუშაობის შესახებ ცნობად იქნა მიღებული.

ამით კომისიამ სხდომა დაასრულა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო

კომისიის თავმჯდომარე ბესიკ ჩეჩელაშვილი